

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის
აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის
ს ხ დ ო მ ი ს ო ქ მ ი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11

სხდომის დაწყების დრო: 18:00

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, გიორგი თევზაძე, დათუნა მოდებაძე, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი ტურაზაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი (Webex პლატფორმით დისტანციურად).

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

(ა) წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ სალომე ტყემალაძეს, თამარ ზაქარაშვილს და ბელა ბიჩინაშვილს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია; შესაბამისად, აღნიშნული პირების განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სალომე ტყემალაძის, თამარ ზაქარაშვილის და ბელა ბიჩინაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ სოფიკო გოგუაძემ საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბერს დამტკიცებული სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს, თანდართულ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს სოფიკო გოგუაძის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ დავით ბეჟუაშვილის, გიორგი დოლიძის, ნათია გურულის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანებისთვის თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს დავით ბეჟუაშვილის, გიორგი დოლიძის, ნათია გურულის მიერ ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გიორგი დავითაშვილის, თენგიზ ვარდიშვილის და ეკატერინე ესაკიას განცხადებებს წევრობის შეჩერების შესახებ. აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ ზემოაღნიშნულ განმცხადებელთ, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, გადახდილი აქვთ 2020 წლის საწევრო შენატანი, ეცნობოთ, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 21² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” კანონის 21² მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს გიორგი დავითაშვილის, თენგიზ ვარდიშვილის, ეკატერინე ესაკიას განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. ასოციაციის წევრთა განცხადებების განხილვა 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ.

წევრები გაეცნენ:

(ა) მაია ნიკოლაშვილის 2020 წლის 1 ივნისის განცხადებას 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ, რომელსაც თან ერთვოდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელმა საბჭომ 2019 წლის 31 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება საშეღავათო საწევროზე კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, ერთ-ერთი კრიტერიუმი ეხება წევრებს, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

მაია ნიკოლაშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით ირკვევა, რომ იგი აკმაყოფილებს აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით დადგენილ ერთ-ერთ კრიტერიუმს საშეღავათო საწევროზე.

სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს მაია ნიკოლაშვილის განცხადებაში

მითითებული მოთხოვნის, საწევროს გადახდისაგან სრულად გათავისუფლების, დაკმაყოფილების თაობაზე. თუმცა, შესაძლებელია, აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, განმცხადებლის სურვილის შემთხვევაში, მას გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა 6 თვის ვადით (2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე).

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- არ დაკმაყოფილდეს მაია ნიკოლაშვილის განცხადება 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;
- აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, განემარტოს მას 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის 6 თვის ვადით (2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე) გადავადების თაობაზე;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და ასევე მიეწოდოს ინფორმაცია, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე 75%-იანი საშელავათო საწევროთი სარგებლობის შესახებ.

(ბ) მანანა ჩაჩანიძის 2020 წლის 2 ივნისის განცხადებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ ადვოკატმა დავით ბარბაქაძემ მიიღო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება; მას ესაჭიროება ხანგრძლივი მკურნალობა და შესაბამისად, ვერ განახორციელებს საადვოკატო საქმიანობას. აქედან გამომდინარე, მანანა ჩაჩანიძე, როგორც კანონიერი წარმომადგენელი, ითხოვს დავით ბარბაქაძის 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლებას. განცხადებას თან ერთვის სამედიცინო დოკუმენტაცია-ფორმა 100/ა, მანანა ჩაჩანიძის, როგორც კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მოთხოვნის ფორმების, დავით ბარბაქაძის პირადობის მოწმობის და საადვოკატო საქმიანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლები.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელმა საბჭომ 2019 წლის 31 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება საშელავათო საწევროზე კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ. მანანა ჩაჩანიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები არ შეესაბამება აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით დადგენილ კრიტერიუმებს საშელავათო საწევროზე.

სამართლებრივი საფუძველის არარსებობის გამო, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს მანანა ჩაჩანიძის განცხადებაში მითითებული მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე თუმცა, შესაძლებელია, აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, დავით ბარბაქაძეს გადაუვადდეს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა 6 თვის ვადით (2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე). ასევე, ამავე გეგმის ფარგლებში, ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდისთვის მიმართვის საშუალებით, შესაძლებელია ადვოკატისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- არ დაკმაყოფილდეს მანანა ჩაჩანიძის განცხადება დავით ბარბაქაძის 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების თაობაზე;
- აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, დავით ბარბაქაძეს განემარტოს 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა 6 თვის ვადით (2020 წლის 1 - ელ დეკემბრამდე) გადავადების თაობაზე;
- განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და მიეწოდოს ინფორმაცია, აღმასრულებელი საბჭოს 2019 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით საშელავათო საწევროზე დადგენილი კრიტერიუმების თაობაზე და ასევე - ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდისთვის მიმართვის წესის შესახებ.

საკითხი 5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 7 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში შემოსული განცხადებების განხილვა, 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების თაობაზე.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში, 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების თაობაზე, 2020 წლის 18 მაისიდან 31 მაისის ჩათვლით ასოციაციას მომართა 266-მა წევრმა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

- დაკმაყოფილდეს აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 07 მაისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წევრთა მხარდაჭერის ღონისძიებების გეგმის“ ფარგლებში ასოციაციაში შემოსული 266-ვე წევრის განცხადება, 2020 წლის საწევრო გადასახადის 6 თვით გადავადების თაობაზე (დანართი 1);
- აღნიშნულ წევრებს გადაუვადდეთ 2020 წლის საწევრო გადასახადის გადახდა მიმდინარე წლის 1-ელ დეკემბრამდე.

საკითხი 6. ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის თანა-თავმჯდომარედ უჩა ზაქაშვილის კანდიდატურის განხილვა.

წევრები გაეცნენ ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის თავმჯდომარის - მარინე ნიქაბაძის 2020 წლის 5 ივნისის განცხადებას კომიტეტის თანა-თავმჯდომარედ უჩა ზაქაშვილის კანდიდატურის განხილვის თაობაზე, თანდართული კანდიდატის განცხადებით და ბიოგრაფიით.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას უჩა ზაქაშვილის კანდიდატურა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის თანა-თავმჯდომარის პოზიციაზე.

საკითხი 7. ნინო ჯულაყიძის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

წევრები გაეცნენ ნინო ჯულაყიძის 2020 წლის 9 ივნისის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო ჯულაყიძის 2020 წლის 9 ივნისის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას ნინო ჯულაყიძის კანდიდატურა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტის წევრად.

საკითხი 8. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 5¹ მუხლის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის არასრულწლოვანის უფლებების დაცვის სფეროში ადვოკატთა სპეციალიზაციის კურსის დებულების დამტკიცება.

აღმასრულებელმა მდივანმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის სექტემბერში მიღებული „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ 73-ე მუხლი მოითხოვს, რომ ბავშვთა უფლებების დაცვა განახორციელონ სპეციალიზებულმა პირებმა. ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 5¹ მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, „არასრულწლოვანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ პროცესში მონაწილეობენ არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში სპეციალიზებული მოსამართლე, ადვოკატი, სოციალური მუშაკი ან/და არასრულწლოვანის საჭიროებების გათვალისწინებით მოწვეული სხვა შესაბამისი სპეციალისტი“. შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნების თანახმად, წარმოდგენილია არასრულწლოვანის უფლებების სფეროში ადვოკატთა სპეციალიზაციის კურსის დებულების პროექტი, რომელიც არეგულირებს ადვოკატთა სპეციალიზაციის წესსა და პროცედურებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

წევრები დეტალურად გაეცნენ წარმოდგენილ დებულების პროექტს. მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის არასრულწლოვანის უფლებების დაცვის სფეროში ადვოკატთა სპეციალიზაციის კურსის დებულების პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 2).

საკითხი 9. არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში სპეციალიზაციის კურსის ტრენერების სიის და ტესტირების ექსპერტთა ჯგუფის სიის დამტკიცება.

წევრები გაეცნენ არასრულწლოვანთა უფლებების სფეროში სპეციალიზაციის კურსის ტრენერების სიას და ტესტირების ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობას.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს არასრულწლოვანთა უფლებების სფეროში სპეციალიზაციის კურსის ტრენერების სია და ტესტირების ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 3 და 4).

საკითხი 10. პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატად სოფიო ჯაფარიძის კანდიდატურის განხილვა.

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის - სოფიო ჯაფარიძის კანდიდატურას თანდართული ბიოგრაფიით.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი აკმაყოფილებს პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატად სოფიო ჯაფარიძის კანდიდატურა.

საკითხი 11. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) მარინა ფიდუაშვილის 2020 წლის 8 ივნისის განცხადებას პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ნაწილის შეჩერების შესახებ (განცხადებას თან ერთვის საავადმყოფო ფურცლის ასლი).

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.5 პუნქტის თანახმად, სტაჟიორს კონკრეტული ვადით შეიძლება შეუჩერდეს სტაჟიორის სტატუსი პირადი განცხადების საფუძველზე, არაუმეტეს 2 წლისა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს მარინა ფიდუაშვილის 2020 წლის 8 ივნისის განცხადება და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.5 პუნქტის თანახმად, მას შეუჩერდეს სტაჟიორის სტატუსი. შეჩერების თაობაზე ინფორმაციის სტაჟიორის პირად საქმეში აღრიცხვა დაევალოს ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(ბ) ირინა იამანიძის 2020 წლის 2 ივნისის განცხადებას სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის შესახებ.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანახმად, სტაჟიორს უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე. აღნიშნული განცხადებით ირკვევა, რომ განმცხადებელს შერჩეული ჰყავს ალტერნატიული სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატი, რომელთანაც სურს სტაჟირების გაგრძელება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ირინა იამანიძის 2020 წლის 2 ივნისის განცხადება სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის ცვლილების შესახებ. ცვლილების თაობაზე ინფორმაციის სტაჟიორის პირად საქმეში აღრიცხვა დაევალოს ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორს.

(გ) გივი ზიბზიბაძის 2020 წლის 8 ივნისის განცხადებას, რომელშიც აღნიშნულია, რომ საზღვარგარეთ ყოფნის გამო, მიმდინარე წლის 4 ივლისს ჩანიშნულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე იგი ვერ მიიღებს მონაწილეობას და ითხოვს გამოცდაზე რეგისტრაციისთვის გადახდილი თანხის დაბრუნებას ან აღნიშნული თანხის საფუძველზე მომდევნო გამოცდაზე რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობას.

წევრებმა განაცხადეს, რომ ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქვევისა და გასაჩივრების წესების მე-2 მუხლის, 2.3 პუნქტის თანახმად, რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, აპლიკანტის მოთხოვნა გამოცდაში მონაწილეობისთვის გადახდილი საფასურის უკან დაბრუნების შესახებ არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას. თუმცა, რადგან აპლიკანტი ვერ ახერხებს ქვეყანაში დაბრუნებას კორონა ვირუსით გამოწვეული ეპიდემიური ვითარების გამო, საბჭო მიზანშეწონილად თვლის დაკმაყოფილდეს განმცხადებლის მოთხოვნა მიმდინარე გამოცდის რეგისტრაციისთვის გადახდილი თანხის საფუძველზე, მომდევნო გამოცდაზე დარეგისტრირების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს გივი ზიბზიბაძის განცხადება 2020 წლის ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაციისთვის გადახდილი თანხის საფუძველზე, მომდევნო ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე დარეგისტრირების შესახებ.

(დ) საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ოფისის მშენებლობის მიზნით სამშენებლო ღირებულების, ფასთა კვლევისა და მოწოდებული დოკუმენტაციის განხილვის დროებითი კომისიის შექმნა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცება.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ადვოკატთა ასოციაციის ოფისის მშენებლობის პროცესზე უარყოფითად იმოქმედა კორონა ვირუსით გამოწვეული ეპიდემიური ვითარების გამო ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ, თუმცა აღნიშნული პროცესი უნდა გაგრძელდეს და ასოციაცია მზად არის აქტიური ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის.

მან მიმართა წევრებს წინადადებით, ადვოკატთა ასოციაციის მიერ ოფისის მშენებლობის მიზნით სამშენებლო ღირებულების, ფასთა კვლევისა და მოწოდებული დოკუმენტაციის შესწავლისა და გადარჩევისთვის, ასოციაციაში დროებითი კომისიის შექმნის შესახებ და კომისიის დაკომპლექტების თაობაზე შემდეგი შემადგენლობით: ასოციაციის თავმჯდომარე, აღმასრულებელი მდივანი, ადმინისტრაციის უფროსის მ/შ, აღმასრულებელი საბჭოს წევრები: მარიამ კუბლაშვილი და ზურაბ როსტიაშვილი.

წევრებმა მოისმინეს წინადადება. მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: შეიქმნას ოფისის მშენებლობის მიზნით სამშენებლო ღირებულების, ფასთა კვლევისა და მოწოდებული დოკუმენტაციის განხილვის დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე - დავით ასათიანი, ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი - გიორგი ჭეხანი, ადმინისტრაციის უფროსის მ/შ - თამთა დევდარიანი, აღმასრულებელი საბჭოს წევრები: მარიამ კუბლაშვილი და ზურაბ როსტიაშვილი.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე